



დიდი ილია

საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, შავ ხავერდზე პატარა, ფრჩხილისოდენა ტყვია დევს. ბერდანის ტყვია, რომელმაც 1907 წლის 30 აგვისტოს ჯერ ილია ჭავჭავაძის და მერე მთელი ქართველი ხალხის გულში გაიარა. და ახლა დევს ეს ტყვია მუზეუმში, როგორც შემზარავი სახსოვარი ერის ტკივილისა, განცვიფრებისა, სასოწარკვეთისა, აღშფოთებისა და მრისხანებისა.

ახლა ყველაფერი ეს ისტორიაა, — იტყვის ვინმე, მაგრამ განა შეიძლება ერისათვის ისტორიად იქცეს ენა მისი, ანბანი მისი, აზრი მისი, გონება მისი, და დროშა მისი? განა შეიძლება წარსულად იქცნენ ჰომეროსი, დანტე, სერვანტესი, რუსთაველი, პუშკინი ან ილია, ადამიანები, რომლებიც დროშასავით უძღვიან წინ თავიანთ ერებს დღიდან დაბადებისა და საუკუნიდან საუკუნეში უნათებენ გზას? ცხადია, არა.

ილია იქ დგას, მომავალ საუკუნეებში და ყოველი წელი არათუ განშორებაა მასთან, არამედ მიახლოება.

ადამიანებს ბავშვობაში ვარსკვლავები ისე პატარა და ისე ახლობელი გვეჩვენება, როგორადაც კიაფობენ და ჩანან ისინი ცის კაბადონზე. მხოლოდ შემდეგ, ბუნების კარს რომ შევალვით, ვხვდებით, თუ რაოდენ დიდია ყოველი მათგანი, რამხელა ენერჯიას ინახავს, რა ვეებერთელა მაგნიტური ველი და რაოდენ ძლიერი მიზიდულობა გააჩნია თითოეულ მათგანს. სწორედ ასეთი ვარსკვლავია ქართველი ერისათვის უკვდავი სახელი ილია ჭავჭავაძისა და მარადიულია სხივი გამომდინარე მისგან.

როგორც ყველა დიდი ერისკაცი და მამულიშვილი, ილიაც მთაწმინდას მიაბარა დამწუხრებულმა საქართველომ, მაგრამ მისი დიდება საფლავში არ ჩაეტია.

და განა შეიძლება საფლავმა დაიტიოს დიდება კაცისა, რომელმაც შექმნა: „პოეტი“, „განდევილი“, „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, „ბაზალეთის ტბა“, „ოთარაანთ ქვრივი“, „კაცია — ადამიანი?!“ და „მგზავრის წერილები“?!

ილიაზე უამრავი ნარკვევი, მეცნიერული გამოკვლევა, მონოგრაფია, მხატვრული ნაწარმოები და ოდა დაწერილა, კვლავაც უფრო მეტი დაიწერება ალბათ, მაგრამ არავის ძალუძს უფრო ნათლად, გამოკვეთილად, ამაღლებულად ასახოს მეცხრამეტე საუკუნის ამ უგვირგვინო მეფის, ერის სულიერი მამის ცხოვრების აზრი, მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი კრედი ისე, როგორც ეს თავად მან



ჩამოაყალიბა თავის გენიალურ ლექსში „პოეტი“.

მისთვის არ ვმდერ, რომ ვიმდერო
ვით ფრინველმა გარუგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცაშა.
მე ცა მნიშნავს და ერი შზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარუუძღვე წინა ერსა...

ეს არ გახლავთ გულზედადი, ამაყი და თავის თავზე შეყვარებული შემოქმედის სიტყვები. ეს არის მთელი ერის ენერჯიით დამუხტული ბუმბერაზი კაცის მიერ გათვითცნობიერებული პირადი მე კაცისა, რომელმაც იგრძნო თავის თავში ის დიდი მოვალეობა, რაც დააკისრა მას მისი ხალხის ეროვნულმა, ზნეობრივმა, ფიზიკურმა ყოფამ და აღნაგობამ. მოვალეობა, რომელიც დააკისრა მას ერის მრავალსაუკუნოვანმა, თერგივით დაუდგრომელმა სისხლმა.

და ეს რომ ასეა, განა ნათლად არ ჩანს „მგზავრის წერილებიდან“?

„მყინვარი!.. დიდებულა, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი, დანახვა მისი მაკვირვებს და არ მალეღვებს, მაციებს და არ მათბობს, — ერთი სიტყვით, მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა, რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს, ძირი თუმცა დედამიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და მობღავის და აბღავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ზუილი, გამაღებელი ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლაზი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამალეღვებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა...“

ნეტავი შენ, თერგი! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა, პატარა ხანს დაღვ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საში-



შარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...“

თერგივით იცხოვრა მან ამ ქვეყანაზე: ქართველი ხალხის განმანათლებელი, ერის მოჭირნახულე, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე და ბელადი, გენიალური მწერალი, საზოგადო მოღვაწე, კაცი, თავისი ნებით მისული სამშობლოს სამსხვერპლოზე.

კაცი მზესავით ნათელი და კაცი დღესაც თერგივით მქუხარე.

აი, ვინ არის ილია ჭავჭავაძე!

„ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ — კითხულობდა კაცი, რომელსაც თავად ერთი წუთი არ უძინია, ისე გალია სული სამშობლოს სამსახურში.

„მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?!“ — კითხულობდა იგი და ჰა, ხედავდეს ნეტავ საქართველოს, წაღმა შემობრუნებულს.

ესმოდეს ნეტავ საფლავში:

შვილთა დაღადი!

ჟამთა დაღადი!

ქვათა დაღადი!

იცოდეს ნეტავ, რომ ვიდრე არაგვი წინამურთან არ ავა აღმა, მის ნათელ შუბლზე არ ჩაქრება შუქი მარადი.



მზესა და გენიოსებს ორი საერთო თვისება აქვთ: ორივე საოცრად ნათელია და ორივე სიცოცხლის შემოქმედი. ახლა მე მზეზე კი არა, აკაკიზე მოგახსენებთ.

აღბათ, 7 თუ 8 წლის ვიქნებოდი, კარგად არც კი მახსოვს, აკაკის „განთიადი“ რომ მასწავლეს, ვისწავლე და გავეოცდი იმიტომ კი არა, რომ აკაკის გენიოსობა შევიგრძენი, არა — ავხედე ცას და ფირუხის ფერი იყო, დავხედე ხმელეთს და ზურმუხტის ფერი იყო, სამშობლოსათვის რომ უნდა მოემკვდარიყავი, ეს დედისაგან ვიცოდი და გამიკვირდა: ასე თავისუფლად, ასე უბრალოდ, ასე გასაგებად ამას ხომ მეც ვიტყვი-მეთქი... და აი, უკვე 40 წელია ვეჯიბრები აკაკი წერეთელს, რომ „განთიადის“ მსგავსი ერთი ლექსი მაინც დავწერო და ბოლოს მივხვდი, რომ მთელი ჩემი შემოქმედება ამ ლექსის ერთი სტრიქონის ფასადაც არ ღირს.

და მე კიდევ მეტს მივხვდი, კერძოდ, იმას, რომ „განთიადი“ კაცის დაწერილი არ არის. ასეთ ლექსებს ადამიანები არ წერენ, ეს მათ ძალ-ღონეს აღემატება. დიახ, ეს ლექსი ღვთის ბაგიდან არის გამოსული და ნაკარნახევი.

ერი და ერისკაცი ზიარჭურჭელსა ჰგვანან, ისინი ერთმანეთს ავსებენ და აცოცხლებენ.

ვინ იცის, იარსებებდა თუ არა დღეს ქართული ენა და საქართველო, მეცხრამეტე საუკუნეში ილია, აკაკი, ვაჟა და იაკობი, ეს ოთხი მესია, რომ არ მოვლენოდნენ მას.

ვინ იცის, ჩატარდებოდა დღეს ეს სახალხო ზეიმი თუ არა, მადლიერ ქართველ ხალხს რომ არ ეგრძნო, არ დაეფასებინა და უკვდავების შარავანდელით არ შეემოსა მათი ნათელი შუბლი და საქმე.

როგორც დღე მისდევს დღეს, ისე მოდიან თაობები და ცვლიან ერთმანეთს, მაგრამ აკაკი, ბუღბული საქართველოსი, შუამავალი ცისა და მიწისა, უცვლელია. იგი ყოველ დილით ამოდის საქართველოს ცაზე ბრღღვიალა მზესავით, რომ ნათელი მოჰფინოს სულ ახალ და ახალ თაობებს.

რამდენიმე წლის წინ თურქეთის საზღვარზე ვმსახურობდი მესაზღვრედ. იქ, აჭარის მთებში ერთი ლამაზი სოფელია. ამ სოფელს მდინარე ჭოროხი ჰყოფს შუაში, ერთი ნახევარი სოფლისა ჩვენია, მეორე ნახევარი — თურქეთისა. სწორედ იქ გახლდით საზღვრის ინსპექციაზე. ერთ დღეს ორი ჯარისკაცის თანხლებით საზღვრის წინა